საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ჰ. ჯ. ბ. III

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: წარმომადგენელი ლ. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.08.2021

საჩივრის რეგისტრაციის 055/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ბ. მ.-ის /სიითი № / მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ბ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 03 აგვისტოს საჩივრით მომართა ჰ. ჯ. ბ. III-მ და მოითხოვა ადვოკატ ბ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა წარმომადგენელთან, ლ. დ.-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო 2021 წლის 06 სექტემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა დავა ჰ. ჯ. ბ. III-სა და მის მეუღლე ნ. ბ.-ს შორის, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის უფლების შეზღუდვა და ალიმენტის დაკისრება. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 18 თებერვალს მიიღო განჩინება, სამოქალაქო საქმეში არასრულწლოვნების: ჰ. ჯ. ბ. IV-ის, დ. მ. ბ.-ისა

და ს. ა. ბ.-ის მხარედ ჩართვის თაობაზე. არასრულწლოვნებს სავალდებულო წესით დაენიშნათ ადვოკატი - ს. კ..

1.3 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, 2021 წლის 16 მარტსა და 2021 წლის 04 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომებზე მოპასუხე ნ. ბ.-ის ადვოკატმა კ. გ.-მა დააყენა აცილების შუამდგომლობა ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ, არაკვალიფიციურობის გამო. სასამართლომ იმსჯელა დასახელებულ შუამდგომლობაზე და მზრუნველობის ორგანოს დაავალა შეესწავლა საკითხი ადვოკატ ს. კ.-ის მხრიდან არასრულწლოვნების: დ. მ. ბ.-ისა და ს. ა. ბ.-ის ინტერესების კვალიფიციურ დაცვასთან დაკავშირებით.

1.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, 2021 წლის 16 ივლისს ადვოკატმა ბ. მ.-მა ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი და ორდერი, სადაც ფიქსირდება, რომ ის წარმოადგენს არასრულწლოვნების ს. ა. ბ.-ისა და დ. მ. ბ.-ის ადვოკატს.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ ბ. მ.-ის ქმედებები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს და არღვევს როგორც არასრულწლოვნების, ისე საჩივრის ავტორის უფლებებს.

1.6 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს დავა ჰ. ჯ. ბ. III-სა და ნ. ბ.-ს შორის საერთო შვილებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის თაობაზე და მათ შეჩერებული აქვთ წარმომადგენლობის უფლებამოსილება, მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა დაუნიშნოს არასრულწლოვნებს საპროცესო წარმომადგენელი. ადვოკატი ბ. მ. დასახელებულ საქმეში ჩაერთო მოპასუხის ადვოკატის მიერ ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ აცილების შუამდგომლობის დაყენების შემდეგ, რაც საჩივრის ავტორის წარმომადგენლის პოზიციით, წარმოადგენს ერთ-ერთი მშობლის მიერ ადვოკატის მოწვევას, რა დროსაც დაცული ვერ იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ლ. დ.-ის განმარტებით, დასახელებული მიზეზების გამო საფრთხე ექმნება ადვოკატ ბ. მ.-ის დამოუკიდებლობას და წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი.

1.7 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატი ბ. მ. საქმეში არასრულწლოვანთა წარმომადგენლის სტატუსით მანამდე ჩაერთო, ვიდრე სასამართლო ადვოკატ ს. კ.-ის აცილების შუამდგომლობას დააკმაყოფილებდა, რაც ასევე წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ. ლ. დ.-ის პოზიციით, ადვოკატი ბ. მ. ვალდებული იყო საქმეში ჩართვამდე გამოეკვლია თუ რა სამართლებრივი საფუძვლით ითხოვდნენ მის დასახელებულ დავაში ჩართვას.

1.8 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის პოზიციით, ადვოკატი ბ. მ. წარმოადგენს მხოლოდ ორი არასრულწლოვნის ს. ა. ბ.-ისა და დ. მ. ბ.-ის უფლებათა დამცველს და უგულვებელჰყოფს მესამე არასრულწლოვნის ჰ. ჯ. ბ. IV-ის ინტერესებს, რაც ვერ ჩაითვლება არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების დაცვად და წარმოაჩენს ადვოკატ ბ. მ.-ის მიკერძოებულ დამოკიდებულებას.

1.9 2021 წლის 06 სექტემბერს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ლ. დ.-მ კიდევ ერთხელ განმარტა მის მიერ 2021 წლის 03 აგვისტოს წერილობით საჩივარში მითითებული გარემოებები და მოითხოვა ადვოკატ ბ. მ.-ის პროფესიული ქცევა შეისწავლოს ეთიკის კომისიამ.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატმა ბ. მ.-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2021 წლის 06 აგვისტოს, სადაც განმარტა, რომ ჰ. ჯ. ბ. III-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი აღიარებს, რომ სასამართლომ დაავალა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შეესწავლა საკითხი ადვოკატ ს. კ.-ის მხრიდან არასრულწლოვნების: ს. ა. ბ.-ისა და დ. მ. ბ.-ის ინტერესების კვალიფიციურ დაცვასთან დაკავშირებით. დასახელებული მიზეზის გამო, ის საქმეში ჩაერთო მზრუნველობის ორგანოს შუამდგომლობის შემდეგ, ორი არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად. ამასთან, მას არ ჰქონია კომუნიკაცია მესამე არასრულწლოვანთან და მხარის ნების საწინააღმდეგოდ ვერ განახორციელდება დამცველის უფლებამოსილებას მესამე არასრულწლოვნის მიმართ.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ ის საქმეში ჩაერთო არა რომელიმე მშობლის ინტერესის, არამედ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად. სოციალური მუშაკის ვიზიტისას, მისი საქმეში ჩაბმის სურვილი გამოთქვეს თვითონ არასრულწლოვნებმა და სწორედ დედასთან მცხოვრები ორი არასრულწლოვნის ინტერესების დაცვას ემსახურება მისი საქმეში მონაწილეობა, ხოლო მის ფუნქციას არ წარმოადგენს მოსარჩელის ან მოპასუხის (მამის ან დედის) ინტერესების დაცვა და გათვალისწინება.

2.4 ადვოკატის პოზიციით, მის საქმეში ჩართვას არ მიუყენებია რომელიმე არასრულწლოვნისათვის ზიანი და მაქსიმალურად ცდილობდა დაეცვა არასრულწლოვანთა უფლებები. ადვოკატის განმარტებით, ის არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი და თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას, რაც უადვილებს არასრულწლოვნებთან კომუნიკაციას. სანამ დასახელებულ საქმეში ჩაერთვებოდა, ის არაერთხელ შეხვდა მოსამართლეს, სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებს, პირადად გაესაუბრა მისი დაცვის ქვეშ მყოფთ, რომლებთანაც მარტივად გამონახა საერთო ენა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა საქმეში მონაწილეობის მიღება.

2.5 ადვოკატის პოზიციით, გაუგებარია თუ რატომ აპელირებს საჩივრის ავტორი მისი მხრიდან კოლეგიალობის პრინციპის დარღვევაზე, ვინაიდან აღნიშნული პრინციპი მხოლოდ ადვოკატთა შორის ურთიერთობას აწესრიგებს, ხოლო საჩივრის ავტორი არ არის ადვოკატი. ადვოკატ ბ. მ.-ის მოსაზრებით, საქმეში მისი ჩართულობა არ არღვევს კოლეგიალობის პრინციპს, ვინაიდან საქმეში ჩასართავად მას არ სჭირდებოდა სახაზინო ადვოკატის ნებართვა, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა კომუნიკაცია არასრულწლოვნებთან და არ იცოდა ბავშვების რეალური სურვილი, განწყობა, მიზანი და დამოკიდებულება.

2.6 ადვოკატის განმარტებით, სადავო საქმეში ჩასართავად სავალდებულო პირობას არ წარმოადგენს, რომ ადვოკატი აუცილებლად უნდა იყოს იურიდიული დახმარების სამსახურის წევრი და მისი საქმეში ჩართვა მოხდებოდა 2021 წლის 16 ივლისს ჩანიშნულ სხდომაზე მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბავშვთა უფლებათა კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტისა და

ამავე კოდექსის მე-80-ე მუხლის საფუძველზე, თუმცა აღნიშნული სხდომა გადაიდო და არ ჩატარებულა.

2.7 ადვოკატის პოზიციით მას არ დაურღვევია ეთიკის ნორმები, მოქმედებდა მხოლოდ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად და არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, მის წინააღმდეგ ეთიკის კომისიაში შეტანილი საჩივარი არის უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ბ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სიითი №, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი, ბავშვთა უფლებები.

3.2 ჰ. ჯ. ბ. III-მ ადვოკატთა ეთიკის კომისიას მომართა 2021 წლის 03 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ბ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ბ. მ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი მოქმედებდა ჰ. ჯ. ბ. III-ის პროცესუალური მოწინააღმდეგის ინტერესების სასარგებლოდ; ადვოკატი იცავდა მხოლოდ ორი არასრულწლოვნის ინტერესებს, ხოლო მესამე არასრულწლოვანი დატოვა სამართლებრივი დაცვის გარეშე; ადვოკატი საქმეში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გადამოწმების გარეშე ჩაერთო იქამდე, სანამ სასამართლო ადვოკატ ს. კ.-ის აცილების შუამდგომლობას დააკმაყოფილებდა, რითიც არაკოლეგიალობა გამოავლინა ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ბ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.“
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2.1 მუხლი: „ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა

ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.“

5.3 ადვოკატი ვალდებულია თავი აარიდოს ისეთ გარემოებებს, რომლებსაც მის პროფესიულ დამოუკიდებლობაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. მართლმსაჯულების განხორციელებისას ადვოკატი წარმოადგენს ერთგვარ შუამავალს სასამართლოსა და ხალხს შორის. სწორედ ადვოკატის როლის მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ ადვოკატმა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით და კანონიერებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმე N074/17, 2018 წლის 30 ივლისი).

5.4 ადვოკატის დამოუკიდებლობა წარმოადგენს იმ უზენაეს პრინციპს, რომლის ზედმიწევნით დაცვაც განაპირობებს ნდობის, კონფიდენციალურობის, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპების დაცვას და თავიდან აარიდებს ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტს. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ, რა დროსაც „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის ან/და კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

5.5 ეთიკის კომისიამ შეისწავლა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის მიხედვით დგინდება, რომ ადვოკატ ბ. მ.-სა და ნ. ბ.-ს შორის არ არსებობდა რაიმე სახის ურთიერთობა 2019 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარმოებულ სამოქალაქო დავაზე (საქმე N2-4742-2019), სადაც მხარეებს წარმოადგენდნენ ჰ. ჯ. ბ. III და ნ. ბ., ხოლო, დავის საგნად განსაზღვრული იყო არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის უფლებების შეზღუდვა, ალიმენტის დაკისრება. საქმეში წარმოდგენილი სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ქ. თბილისის საქალაქო ცენტრის 2021 წლის 13 ივლისის N დასკვნა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ქ. თბილისის საქალაქო ცენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნ. ნ.-ის მიერ 2021 წლის 12 ივლისს სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსისა და აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის უფროსისათვის გაგზავნილი N მიმართვა ცხადჰყოფს, რომ საქმეში ადვოკატ ბ. მ.-ის ჩართვას ითხოვდნენ არასრულწლოვნები: ს. ა. ბ. და დ. მ. ბ.. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა რაიმე სახის კავშირს ნ. ბ.-სა და ადვოკატ ბ. მ.-ს შორის. სადავო საქმეში ადვოკატი ბ. მ. იცავდა მხოლოდდამხოლოდ არასრულწლოვნების ინტერესებს და აღნიშნულ საქმეზე არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას რომელიმე მშობლის სასარგებლოდ, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეს. საქმის მასალებიდან არ იკვეთება რაიმე სახის კავშირი საჩივრის ავტორის პროცესუალურ მოწინააღმდეგესა და ადვოკატ ბ. მ.-ს შორის, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა ადვოკატის დამოუკიდებლობას.

5.6 კომისიაში საქმისწარმოების დროს მოქმედებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს, რომ მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა წარმოადგინონ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად შესაბამისი მტკიცებულებები. მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებების არსებობისას, ეთიკის კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს საქმეში არსებული ფაქტებითა და სხვა მტკიცებულებებით, რადგან სწორედ არსებული მტკიცებულებების საფუძველზეა შესაძლებელი დადასტურდეს საჩივრის ავტორის პრეტენზიის საფუძვლიანობა.

5.7 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ადვოკატ ბ. მ.-ის მიმართ პრეტენზია გააჩნია ჰ. ჯ. ბ. III-ს, სწორედ მას ეკისრება საჩივარში მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთი. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა ბ. მ.-მა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები და ჩაიდინა საჩივარში მითითებული სადავო ქმედება. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას შეუქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს ადვოკატ ბ. მ.-ის მიერ ქცევის სტანდარტის დარღვევის თაობაზე და გააჩენდა ეჭვს ადვოკატის დამოუკიდებლობისადმი.

5.8 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ბ. მ.-მა პრივილეგია მიანიჭა მხოლოდ ორი არასრულწლოვნის ინტერესებს და სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვა მესამე არასრულწლოვანი. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისთვის და შემდგომში საადვოკატო მოქმედებების განხორციელებისთვის მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთშეთანხმებას, რაც გულისხმობს კლიენტის ინტერსების დაცვას მისი მითითებების გათვალისწინებით და მასთან შეთანხმებული წესით.

5.9 კლიენტი ირჩევს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს მისი უფლებების დაცვას. ადვოკატი ვერ დაიცავს კლიენტის ინტერესებს თუ კლიენტისაგან არ აქვს ინფორმირებული თანხმობა მისი ინტერესების წარმოდგენის თაობაზე. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობისათვის მნიშვნელობას იძენს კლიენტის დამოკიდებულება, რომელიც ადვოკატს აღიქვამს მისი ინტერესების დამცველ პირად.

5.10 ბავშვის ადვოკატირება - ნიშნავს მისი ინტერესების უპირატესად მოქმედებას და შესაბამისად, მის მიერ გამოხატული ნების საუკეთესოდ წარმოჩენას მართლმსაჯულების წინაშე თუ სხვადასხვა ორგანოებთან ურთიერთობისას. ვინაიდან, ბავშვის უფლებების დაცვას განსაკუთრებული, ფრთხილი და გულისხმიერი დამოკიდებულება სჭირდება, ადვოკატები უნდა იყვნენ სპეციალიზებული ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს. სსსკ-ის მუხლი 5^1 -ის მიხედვით, არასრულწლოვანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებზე მონაწილეობის უფლება ენიჭება არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ

სხვა საკითხებში სპეციალიზებულ ადვოკატს. შესაბამისად, განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხს წარმოადგენს სასამართლოში საქმისწარმოების დროს, საოჯახო დავისას, დაცული იყოს პროცესის მონაწილე პირების მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესი, მით უფრო, თუ საქმიდან გამომდინარე არსებობს ბავშვის წარმომადგენლობის საჭიროება ადვოკატის მიერ. გარდა, იმ მითითებისა, რომ ადვოკატი უნდა იყოს სპეციალიზებული არასრულწლოვნის უფლებების წარმომადგენლობის საკითხებში, ადვოკატის პროფესიული ეთიკის რეგულაციები არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ დათქმას. შესაბამისად, ადვოკატმა ბავშვის ინტერესების დაცვისას, (შეკითხვის მიხედვით ბავშვი სასამართლოში საქმის განხილვისას მესამე პირის სტატუსითაა ჩართული) მათ შორის სასამართლოში საქმისწარმოებისას უნდა გაითვალისწინოს ის რეგულაციები, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობას ეხება და განსაკუთრებული სიფრთხილით იმოქმედოს და შეაფასოს ყოველი კონკრეტული შემთხვევა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობის ჭრილში, რათა დაცული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები (ეთიკის კომისიის 2021 წლის 29 აპრილის რეკომენდაცია N002/21).

5.11 ადვოკატ ბ. მ.-ის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ ის საქმისწარმოებაში მას შემდეგ ჩაერთო, რაც სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაევალა ადვოკატ ს. კ.-ის ქმედებების შესწავლა მხარის კვალიფიციურად წარმომადგენლობის თაობაზე. ადვოკატ ბ. მ.-ის საქმეში ჩართვას მოითხოვდნენ თავად არასრულწლოვნები ს. ა. ბ. და დ. მ. ბ.. აღნიშნული ფაქტი დასტურდება სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ქ. თბილისის საქალაქო ცენტრის 2021 წლის 13 ივლისის N დასკვნითა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ქ. თბილისის საქალაქო ცენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნ. ნ.-ის მიერ 2021 წლის 12 ივლისს სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსისა და აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის უფროსისათვის გაგზავნილი N მიმართვით. ორივე დოკუმენტში საუბარია მხოლოდ ორი არასრულწლოვნის: ს. ა. ბ.-ისა და დ. მ. ბ.-ის პოზიციაზე. ბავშვის უფლებათა კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით, ბავშვის უფლებაა ადმინისტრაციულ წარმოებასა და სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან/და მის მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სოციალურ მუშაკთან საუბრისას ორივე არასრულწლოვანი გამოთქვამდა თანხმობას, სასამართლოში მათი წარმომადგენელი ყოფილიყო ადვოკატი ბ. მ.

5.12 მოცემულ საქმეში არასრულწლოვნები ს. ა. ბ. და დ. მ. ბ. სოციალურ მუშაკთან საუბრისას გამოხატავდნენ სურვილს მათი ინტერესები სასამართლოში წარმოედგინა ადვოკატ ბ. მ.-ს, ხოლო მესამე არასრულწლოვანს ჰ. ჯ. ბ. IV -ს კომუნიკაცია არ ჰქონია ადვოკატ ბ. მ.-თან, რომელიც არასრულწლოვნის ნების გაცნობისა და გათვალისწინების გარეშე ვერ წარმოადგენდა ჰ. ჯ. ბ. IV-ის ინტერესებს, ვინაიდან ადვოკატისათვის უცნობი იყო მისი დამოკიდებულება, სურვილი და განწყობა ადვოკატის მიმართ. შესაბამისად, კომისიას მიაჩნია რომ ადვოკატის მხრიდან არ დარღვეულა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1 მუხლი და აპეკ-ის 2.1 მუხლი. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ადვოკატ ბ. მ.-ის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვას

ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ. კოლეგიალობის პრინციპი ადგენს ადვოკატებს შორის ურთიერთობის სტანდარტებს და ავალდებულებს მათ დაიცვან ერთმანეთის პროფესიული ღირსება, პატივი სცეს კოლეგებს. დისციპლინური წარმოების პროცესში დაყენებული პრეტენზიებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად მოწმდება საჩივრის ავტორის უფლებამოსილების საკითხი. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლის თანახმად, ,,დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა." ადვოკატ ბ. მ.-ის მხრიდან კოლეგიალობის პრინციპის დაცვის შემოწმებისთვის ჰ. ჯ. ბ. III არ წარმოადგენს უფლებამოსილ განმცხადებელს, ვინაიდან იგი არ არის კოლეგიალობის პრინციპით დაცული სუბიექტი და ადვოკატ ბ. მ.-ის სადავოდ გამხდარი ქცევით ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ არ იკვეთება საჩივრის ავტორის უფლებების შელახვა.

5.13 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ბ. მ.-ის ქმედებებში ვერ დგინდება პროფესიული ქცევის სტანადრტების სავარუდო დარღვევის ფაქტი, რის გამოც ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.14 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №055/21 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ბ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/